ეს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია საქართველოს ეროვნულ ვალუტაში, ქართულ ლარში ("ლარი"), რადგან ეს ვალუტა ყველაზე კარგად ასახავს ჯგუფის ეკონომიკურ მდგომარეობას, მის გარშემო არსებულ სიტუაციას და განხორციელებულ გარიგებებს. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, რადგან ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ეს ვალუტა მეტად გამოსადეგია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომხმარებელთათვის.

უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი ფულადი ნაშთების წარმოსადგენად გამოყენებული კურსი:

	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
1 დოლარი (\$) / ლარი (G)	2.8068	2.6894
1 ევრო (E) / ლარი (G)	2.9306	2.9753

3. შედგენის საფუძველი და მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მეთოდები

განცხადება შესაბამისობის თაობაზე

ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბაზის (ბასსს) მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად.

შპს “სისამ კავკასუსი”

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების თანდართული შენიშვნები 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

კონსოლიდირებული ანგარიშგების მომზადების მიზანია შესაბამისობა რეგულატორულ მოთხოვნებთან. პირველი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, რომელიც შესაბამისობაში იქნება მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებთან (მსს ფასს სტანდარტები) ჯგუფი გამოაქვეყნებს 31 დეკემბერს 2022 წლით დამთავრებული პერიოდისთვის. მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებზე (მსს ფასს სტანდარტები) გადასვლის თარიღი იქნება 1 იანვარი 2021 წელი.

გაანგარიშების საფუძველი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების პრინციპის საფუძველზე, გარდა ზოგიერთი ფინანსური ვალდებულებებისა, რომლებიც წარმოდგენილია მომავალი ფულადი ნაკადების დისკონტირებული ღირებულებით.

უწყვეტობის პრინციპი

ხელმძღვანელობამ მოამზადა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება უწყვეტობის პრინციპის გათვალისწინებით. ამ გადაწყვეტილების მიღებამდე ხელმძღვანელობამ გაანალიზა ახლანდელი მაკროეკონომიკური გარემო საქართველოში მოქმედი ორგანიზაციებისთვის, დადებითი ფულადი ნაკადები, ოპერაციების მომგებიანობა და ადგილობრივი ფინანსური რესურსების ხელმისაწვდომობა. ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების ადეკვატურობის შეფასებისას, ჯგუფი მხედველობაში იღებს შემდეგ ფაქტორებს:

- 2024 წელს ჯგუფის შემოსავალი წინა წელთან შედარებით სტაბილურია.
- ჯგუფის ფულადმა ნაკადებმა შეადგინა 417,614 ლარი 31 დეკემბერი 2024-ის მდგომარეობით.
- 2024 წლის პერიოდის მოგება წინა წლის მოგებასთან შედარებით გაზარდილია 16%-ით.
- 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფის ვალდებულებები შეადგენს 81,799 ლარს, ხოლო ჯგუფის აქტივები 1,691,109 ლარს.

ზემოაღნიშნული ფაქტებიდან გამომდინარე, ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ ჯგუფს შეუძლია ჯანსაღი საოპერაციო ფულადი ნაკადების წარმოქმნა. დღეისათვის ყველა ოპერაცია ეყრდნობა იმ დაშვებას, რომ ბიზნესსაქმიანობა გაგრძელდება. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია იმ დაშვების საფუძველზე, რომ ჯგუფი მომავალშიც დარჩება ფუნქციონირებად საწარმოდ.

საოპერაციო ხარჯები წარმოადგენს დამატებით ხარჯებს, რომელიც უშუალოდ არის დაკავშირებული შესყიდვებთან, გამოშვებასთან ან ფინანსური ინსტრუმენტების გაყიდვასთან. დამატებითი ხარჯი არ წარმოიქმნება იმ შემთხვევაში თუ გარიგება არ მომხდარა. დამატებითი ხარჯი მოიცავს საფასურსა და საკომისიოს რომელიც არის გადახდილი აგენტებისთვის (მათ შორის გაყიდვების აგენტებს) მრჩეველებისთვის, ბროკერებისთვის და დილერებისთვის, შეიცავს მარეგულირებელი ორგანოების და საფონდო ბირჟების, და გადაცემის გადასახადებს. საოპერაციო ხარჯები არ მოიცავს ფასდათმობას, დაფინანსების ხარჯებს, შიდა ადმინისტრაციულ ან სხვა ხარჯებს.

ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია.

ფინანსური აქტივები იყოფა შემდეგ კატეგორიებად: (ა) სესხები და დებიტორული მოთხოვნები; (ბ) გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივები, (გ) ფინანსური აქტივები რომლების ინახება ვადის გასვლამდე და (დ) ფინანსური აქტივები რეალური ღირებულებით დაფიქსირებული მოგებასა ან ზარალში.

ფინანსური ვალდებულებების კლასიფიცირება.

ფინანსური ვალდებულებები იყოფა შემდეგ კატეგორიებად: (ა) სავაჭრო ვალდებულებები, რომელიც ასევე მოიცავს ფინანსურ დერივატივებს და (ბ) სხვა ფინანსური ვალდებულებები. სავაჭრო ვალდებულებები აღირიცხება თავისი სამართლიანი ღირებულებით, ღირებულების ცვლილება აღიარებულია მოგებაში ან ზარალში (როგორც ფინანსური შემოსავალი და ფინანსური ხარჯი) იმ პერიოდში, რომელშიც ის წარმოიქმნება. სხვა ფინანსური ვალდებულებები (მათ შორის, სესხები და სავაჭრო და სხვა გადასახდელები) თავდაპირველად აღიარებულია რეალური ღირებულებით, ტრანზაქციის ხარჯების გამოკლებით. შემდგომში ისინი ფასდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური პროცენტის მეთოდის გამოყენებით.

ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველი აღიარება

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით რომელშიც გათვალისწინებულია ოპერაციის ხარჯები, რომლებიც უშუალოდ უკავშირდება შეძენას ან ფინანსური აქტივის ფინანსური ვალდებულება გამოშვებას. რეალური ღირებულების თავდაპირველი აღიარებისთვის საუკეთესო საშუალებაა გარიგების ფასი. მოგება ან ზარალი თავდაპირველი აღიარებისას აისახება მხოლოდ მაშინ როდესაც გარიგების ფასსა და სამართლიან ღირებულებას შორის მნიშვნელოვანი სხვაობაა.

ფინანსური აქტივების აღიარების გაუქმება.

ჯგუფი ახდენს ფინანსური აქტივების აღიარების გაუქმებას როდესაც (ა) აქტივები გამოსყიდულია აქტივებიდან მისაღები ფულადი ნაკადების მოთხოვნა აღარ არსებობს (ბ) ჯგუფმა გადასცა აქტივიდან წარმოქმნილ ფულად ნაკადებზე მოთხოვნა მაშინ, როდესაც (i) ასევე გადასცემს არსებითად ყველა რისკებს და სხვა სარგებელს რომელიც დაკავშირებულია გადაცემულ აქტივთან ან (ii) არც გადასცემს და არც ინარჩუნებს ყველა რისკს და სარგებელს დაკავშირებულს გადაცემულ აქტივთან და არ ინარჩუნებს მასზე კონტროლს.

კონტროლი შენარჩუნებულია მაშინ, როდესაც პარტნიორს არ აქვს პრაქტიკული შესაძლებლობა გაყიდოს აქტივი არადაკავშირებულ მესამე მხარეს, გაყიდვაზე დამატებითი შეზღუდვების დაწესების გარეშე.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში.

ჯგუფის ფუნქციური ვალუტა არის იმ ეკონომიკური გარემოს პირველადი ვალუტა, რომელშიც ჯგუფი ოპერირებს. ჯგუფის ფუნქციური ვალუტა არის საქართველოს ეროვნული ვალუტა ქართული ლარი (ლარი).

ტრანზაქციები უცხოურ ვალუტაში გადაიყვანება ჯგუფის მიერ შესაბამის საოპერაციო ვალუტაში საქართველოს ეროვნული ზანკის მიერ ტრანზაქციის დღეს დადგენილი გაცვლითი კურსით.

უცხოურ ვალუტაში არსებული საბალანსო ნაშთები საბალანსო ანგარიშგების თარიღისთვის გადაიყვანება ჯგუფის საოპერაციო ვალუტაში, ანგარიშგების დღეს საქართველოს ეროვნული ზანკის მიერ დადგენილი კურსით. საკურსო სხვაობა გამოწვეული ვალუტის გადაყვანით ასახულია პერიოდის მოგება-ზარალში.

ფული და ფულის ექვივალენტები.

ჯგუფის ფული და ფულის ექვივალენტები შედგება საბანკო ანგარიშებზე და სალაროში განთავსებული ნაშთებისგან.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.

სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება თავდაპირველად აღიარებულია სამართლიანი ღირებულებით და შემდგომში გადაფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღირიცხება მათ თავდაპირველ ღირებულებას დაკლებული დაგროვილი ცვეთა ან/და გაუფასურების ღირებულება. თვითღირებულება განისაზღვრება შესყიდვის ფასით, იმპორტთან დაკავშირებული გადასახადებით, გამოუქვითავი გადასახადებით და სხვა პირდაპირი ხარჯებით. როცა ძირითადი საშუალებების ჯგუფი შეიცავს სხვადასხვა კომპონენტებს, რომლებსაც გააჩნიათ სხვადასხვა სარგებლობის ვადები, ისინი აღირიცხებიან ცალ-ცალკე, როგორც ძირითადი საშუალებების ცალკეული კომპონენტები.

ძირითადი საშუალებები, რომელიც გამოიყენება ძირითადი საქმიანობისთვის, ადმინისტრაციული ან გაქირავებისთვის, ან არის მშენებარე მდგომარეობაში, აღირიცხება მისი თვითღირებულებასა და გაუფასურების ღირებულებას შორის სხვაობით. თვითღირებულება შეიცავს პირდაპირ ხარჯებს, რომელიც გათვალისწინებულია ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკით. სესხებთან დაკავშირებული ხარჯები კაპიტალიზირდება აქტივის ღირებულებაზე ჯგუფის პოლიტიკით.

მოგება და ზარალი რომელიც წარმოიშობა აქტივის გაყიდვიდან ან ჩამოწერიდან, განისაზღვრება სხვაობით მიღებული სარგებლისა და საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშებში.

ხარჯები დაკავშირებული ძირითადი საშუალებების კომპონენტების ჩანაცვლებასთან და აღრიცხულია დამოუკიდებლად, კაპიტალიზირდება იმ კომპონენტის საბალანსო ღირებულებასთან ერთად, რომელიც ჩამოწერილ იქნა. სხვა დანახარჯები კაპიტალიზირდება იმ შემთხვევაში, თუ შესაძლებელია ეკონომიკური სარგებლის მიღება მომავალში. ყველა სხვა ხარჯი, მათ შორის შეკეთება-განახლება აღიარდება მოგება/ზარალის ანგარიშებში მისი მოხდენისთანავე.

ცვეთა

ცვეთის დარიცხვა ხდება მოგება ზარალის ანგარიშებში წრფივი მეთოდის საშუალებით, თითოეული აქტივების ცვეთის ნორმის შეფასების საფუძველზე. ცვეთის დარიცხვა იწყება მას მერე, რაც აქტივი შედის გამოყენებაში. აქტივების ცვეთის ნორმები შემდეგნაირად ნაწილდება:

ცვეთის ნორმა %	
არამატერიალური აქტივები	15
ავტომობილები	15
კომპიუტერები, ავეჯი და სხვა	20

შემოსავლების აღიარება

შემოსავალი განისაზღვრება მისივე სამართლიანი ღირებულებით ან სავაჭრო მოთხოვნებით, რომელშიც გათვალისწინებულია ჯგუფის ფასდაკლებები და ფასდათმობები. შემოსავალი მცირდება შეფასებული ფასდაკლებებით და სხვა მსგავსი შეღავათებით.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები.

სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება აღიარდება მაშინ, როდესაც კონტრაგენტმა შეასრულა თავისი სახელშეკრულებო ვალდებულებები. სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება თავდაპირველად აღიარებულია სამართლიანი ღირებულებით და გადაფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

მოგების გადასახადები.

რეზიდენტი საწარმოს მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტია:

- განაწილებული მოგება;
- გაწეული ხარჯი ან სხვა გადახდა, რომელიც ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული არ არის;

გ) უსასყიდლოდ საქონლის მიწოდება/მომსახურების გაწევა ან/და ფულადი სახსრების გადაცემა;

დ) სსკ კოდექსით დადგენილ ზღვრულ ოდენობაზე მეტი ოდენობით გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯი.

მოგების გადასახადის განაკვეთია 15%.

ფინანსური აქტივების გაუფასურება – საკრედიტო ზარალის ანარიცხი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისთვის. ჯგუფი პერსპექტიულ საფუძველზე აფასებს მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს ამორტიზებული ღირებულებით და რეალური ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, შეფასებული სავალო ინსტრუმენტებისთვის, ისევე როგორც სასესხო ვალდებულებისა და ფინანსური გარანტიის ხელშეკრულებებიდან წარმოქმნილი რისკისთვის და სახელშეკრულებო აქტივებისთვის. ჯგუფი ყოველი საანგარიშგებო თარიღით აფასებს ფინანსური და სახელშეკრულებო აქტივების მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს და აღიარებს წმინდა გაუფასურების ზარალს. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასებაში აისახება: (i) მიუკერძოებელი და ალბათობით შეწონილი თანხა, რომელიც განისაზღვრება შესაძლო შედეგების სპექტრის შეფასებით, (ii) ფულის დროითი ღირებულება და (iii) ყველა მიზანშეწონილი და დასაბუთებადი ინფორმაცია, რომელიც ხელმისაწვდომია მეტისმეტი დანახარჯებისა და ძალისხმევის გაწევის გარეშე თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს წარსული მოვლენების, არსებული მდგომარეობისა და სამომავლო ვითარების პროგნოზის შესახებ.

ჯგუფი იყენებს ფასს 9-ს გამარტივებულ მიდგომას მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასებისთვის, რომელიც იყენებს სრული მოსალოდნელი ზარალის ანარიცხს ყველა სავაჭრო დებიტორული დავალიანებისთვის. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გასაზომად, სავაჭრო დებიტორული დავალიანებები დაჯგუფდება გადანაწილებული რისკის მახასიათებლების მიხედვით (დებიტორული დავალიანებები შეიძლება დაჯგუფდეს გეოგრაფიული რეგიონის, პროდუქტის ტიპის, მომხმარებლის რეიტინგის, საგირავნო უზრუნველყოფის და სავაჭრო საკრედიტო დაზღვევის მიხედვით).

მოსალოდნელი ზარალის განაკვეთი ეფუძნება გადახდების პროფილებს ან ბოლო 360 დღის გაყიდვებს და ამ პერიოდისთვის გამოცდილ შესაბამის ისტორიულ საკრედიტო ზარალს. ისტორიული ზარალის განაკვეთები მორგებულია იმაზე, რომ ასახოს მიმდინარე და პერსპექტიული ინფორმაცია მაკროეკონომიკურ ფაქტორებზე, რომლებიც გავლენას ახდენენ მომხმარებლის უნარზე, დაარეგულირონ დებიტორული დავალიანებები. ჯგუფი ანალიზებს იმ ქვეყნების მაკრო ფაქტორებს რომლებშიც ყიდის პროდუქციას და მომსახურებას. რადგანაც დებიტორული დავალიანებები ძირითადად ადგილობრივი მომხმარებლებისგანაა, ჯგუფმა ანალიზი გაუკეთა საქართველოს მაკროეკონომიკურ სცენარებს და შესაბამის შეწონილობებს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოქვეყნებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით. ჯგუფის მოვალეების ისტორიული ქცევაზე დაყრდნობით, ჯგუფმა დაადგინა, რომ მშპ და სავალუტო გაცვლითი კურსები ყველაზე რელევანტური ფაქტორია, რომელსაც გავლენა აქვს დებიტორული დავალიანებების ამოღებაზე და შესაბამისად მორგებულია ისტორიული ზარალის განაკვეთზე, რაც ეფუძნება მოსალოდნელ ცვლილებებს ამ ფაქტორში.

სასაქონლო-მატერიალური მარაგები.

სასაქონლო-მატერიალური მარაგები აღირიცხება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის ყველაზე დაბალი ღირებულებით. სასაქონლო მატერიალური მარაგების ღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილი მეთოდის გამოყენებით და შეიცავს დანახარჯებს, რომელიც დაკავშირებულია აქტივის შეძენასთან და მის არსებული სამუშაო მდგომარეობაში მიყვანასთან. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ბიზნესის ჩვეულებრივ პირობებში საქმიანობისას არსებული აქტივის გასაყიდ ფასს გამოკლებული დანახარჯები, დაკავშირებული აქტივის გაყიდვასთან.

გადახდილი აგანსები.

წინასწარი გადახდები აღიარდება თვითღირებულებას გამოკლებული გაუფასურების რეზერვით. წინასწარი გადახდა კლასიფიცირება გრძელვადიანად როდესაც საქონელი ან მომსახურება, რომელიც სავარაუდოდ, მიღებული იქნება ერთი წლის შემდეგ, ან რომელიც თავად კლასიფიცირებული უნდა იყოს როგორც გრძელვადიანი აქტივი.

ძირითადი საშუალებებისთვის განკუთვნილი წინასწარი გადახდები აღიარდება, როგორც ძირითადი საშუალება მაშინ, როდესაც ჯგუფი მიიღებს სრულ კონტროლს ამ ძირითად საშუალებაზე, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალი ეკონომიკური სარგებელი. სხვა წინასწარი გადახდები ჩამოიწერება მოგებაში ან ზარალში როდესაც ხდება იმ საქონლის ან მომსახურების მიღება, რომელიც დაკავშირებულია წინასწარი გადახდებთან. თუ არის რაიმე სახის ეჭვი, რომ საქონელი, მომსახურება ან ძირითადი საშუალება არ იქნება მიღებული, რომლისთვისაც გაწეულია წინასწარი ხარჯი, ამ შემთხვევაში ხდება წინასწარ გაწეული ხარჯის ჩამოწერა მიმდინარე პერიოდის მოგება-ზარალში.

დაკავშირებული მხარეები

ჯგუფის დაკავშირებული მხარეებია:

CHE-492.292.516, დახურული ტიპის სააქციო საზოგადოება სუან ჰოლდინგი, შვეიცარია (ჯგუფის მესაკუთრე და 100% წილის მფლობელი),

შპს „ბი-ეს-ეი ჯორჯია“ (ს/ნ 415082724)

და ჯგუფის მენეჯმენტი.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და მსჯელობა

ჯგუფი მუდმივად აკეთებს შეფასებებს და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენს ცნობით აქტივებზე და ვალდებულებებზე სამომავლოდ. შეფასებები და დაშვებები მუდმივად ფასდება და ეყრდნობა ხელმძღვანელობის ისტორიულ გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებს, მათ შორის მომავალ მოვლენებს, რომლებიც სარწმუნოა, რომ მიესადაგება აღნიშნულ გარემოებებს.

საგადასახადო კანონმდებლობა. საქართველოს საგადასახადო, სავალუტო და საბაჟო კანონმდებლობის სხვადასხვა ინტერპრეტაცია.

დაკავშირებულ მხარეებთან ოპერაციების თავდაპირველი აღიარება. ჩვეულებრივად, ჯგუფი აწარმოებს ოპერაციებს დაკავშირებულ მხარეებთან. მსჯელობა გამოიყენება იმის განმსაზღვრელად შეესაბამება თუ არა ტრანზაქცია საბაზრო თუ არა საბაზრო ღირებულებას, იმ შემთხვევაში, როდესაც მსგავსი ტრანზაქციისთვის არ არსებობს აქტიური ბაზარი. განსჯის საფუძველს წარმოადგენს არადაკავშირებულ მხარეებთან მსგავსი ტიპის ტრანზაქციების ფასის დადგენა.

შპს “სისამ კავკასუსი”

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების თანდართული შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

5. ძირითადი საშუალებები

	ავტომობილები	კომპიუტერები, ავეჯი და სხვა	არამატერიალური აქტივები	სულ
<i>საბალანსო ღირებულება</i>				
დეკემბერი 31, 2022	10,226	10,103	2,500	22,829
მატება	40,806	25,857	-	66,663
კლება	-	-	-	-
დეკემბერი 31, 2023	51,032	35,960	2,500	89,492
მატება	34,000	11,071	-	45,071
კლება	-	-	-	-
დეკემბერი 31, 2024	85,032	47,031	2,500	134,563
<i>დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება</i>				
დეკემბერი 31, 2022	(42)	(2,035)	(1,952)	(4,029)
მიმდინარე წლის ცვეთა	(5,997)	(5,172)	(375)	(11,544)
ცვეთის ამობრუნება გასხვისებაზე	-	-	-	-
დეკემბერი 31, 2023	(6,039)	(7,207)	(2,327)	(15,573)
მიმდინარე წლის ცვეთა	(7,948)	(7,545)	(173)	(15,666)
ცვეთის ამობრუნება გასხვისებაზე	-	-	-	-
დეკემბერი 31, 2024	(13,987)	(14,752)	(2,500)	(31,239)
<i>ნარჩენი ღირებულება</i>				
დეკემბერი 31, 2022	10,184	8,068	548	18,800
დეკემბერი 31, 2023	44,993	28,753	173	73,919
დეკემბერი 31, 2024	71,045	32,279	-	103,324

6. მარაგები

ჯგუფის მარაგები 2024 წლის 31 დეკემბრის და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგნაირად არის წარმოდგენილი:

	31 დეკემბერი, 2024	31 დეკემბერი, 2023
ნედლეული და მასალები	45,455	38,029
სულ	45,455	38,029

7. მოკლევადიანი მოთხოვნები

ჯგუფის მოკლევადიანი მოთხოვნები 2024 წლის 31 დეკემბრის და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგნაირად არის წარმოდგენილი:

	31 დეკემბერი, 2024	31 დეკემბერი, 2023
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	1,002,446	247,804
საექვო მოთხოვნების რეზერვი	-	-
სულ	1,002,446	247,804

სავაჭრო და სხვა დავალიანება ძირითადად მოიცავს ჯგუფის მიერ გაწეული მომსახურებისათვის, ჯგუფის პროვაიდერების მხრიდან დავალიანებას.

შპს “სისამ კავკასუსი”

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების თანდართული შენიშვნები 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

პირობები აღიარებულია, როდესაც საწარმოს გააჩნია მიმდინარე ვალდებულება (სამართლებრივი ან კონსტრუქციული), როგორც შედეგი წარსული მოვლენისა, შესაძლებელია, რომ საწარმოს მოეთხოვებოდეს ვალდებულების დაფარვა და ვალდებულების დასაფარად საჭირო საუკეთესო ხარჯთაღრიცხვის შედგენა.

პირობად აღიარებული თანხა წარმოადგენს საუკეთესო ხარჯთაღრიცხვას, რომელიც აუცილებელია საანგარიშო პერიოდის დასრულებისას არსებული ვალდებულების დასაფარად, ვალდებულების ირგვლივ არსებული რისკებისა და გაურკვევლობების გათვალისწინებით.

როდესაც ეკონომიკური ბენეფიტის რაიმე ნაწილი მოითხოვს ისეთი პირობის დადგენას, რომელიც გულისხმობს მესამე მხარისაგან დაფარვას, დებიტორული დავალიანება მოისაზრება როგორც აქტივი, თუკი ის ფაქტობრივად დაადასტურებს, რომ ანაზღაურება იქნება მიღებული და მისაღები თანხის ოდენობა საიმედოდ იქნება შეფასებული.

დეკემბერი 31, 2024	< 30	31-60	61-90	91-180	181-360	>360	Total
სრული თანხა	1,002,446	-	-	-	-	-	1,002,446
სარეზერვო თანხა	-	-	-	-	-	-	-
სხვაობა							1,002,446

დეკემბერი 31, 2023	< 30	31-60	61-90	91-180	181-360	>360	Total
სრული თანხა	247,804	-	-	-	-	-	247,804
სარეზერვო თანხა	-	-	-	-	-	-	-
სხვაობა							247,804

8. ფული და ფულის ექვივალენტები

ჯგუფის ფული და ფულის ექვივალენტები 2024 წლის 31 დეკემბრის და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგნაირად არის წარმოდგენილი:

	31 დეკემბერი, 2024	31 დეკემბერი, 2023
ფული საბანკო ანგარიშებზე	417,614	517,496
სულ	417,614	517,496

9. გაცემული საგადასახადო ავანსები

ჯგუფის გაცემული საგადასახადო ავანსები 2024 წლის 31 დეკემბრის და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგნაირად არის წარმოდგენილი:

	31 დეკემბერი, 2024	31 დეკემბერი, 2023
გადასახდელი მოგების გადასახადი	59,363	60,106
გადასახდელი საშემოსავლო გადასახადი	22,484	13,652
გადასახდელი დღგ	21,662	14,045
სულ	103,509	87,803

შპს “სისამ კავკასუსი”

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების თანდართული შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

10. მოკლევადიანი ვალდებულებები

ჯგუფის მოკლევადიანი ვალდებულებები 2024 წლის 31 დეკემბრის და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგნაირად არის წარმოდგენილი:

	31 დეკემბერი, 2024	31 დეკემბერი, 2023
მოწ. და მომსახ. წარმოქმნილი ვალდებულებები	72,741	46,077
სულ	72,741	46,077

11. შემოსავალი რეალიზაციიდან

ჯგუფის შემოსავალი რეალიზაციიდან 2024 წლის 31 დეკემბრის და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგნაირად არის წარმოდგენილი:

	31 დეკემბერი, 2024	31 დეკემბერი, 2023
გადაზიდვები	3,993,987	5,651,261
აგენტობა	1,932,816	1,690,815
გადატვირთვა ტრანზიტი	935,119	137,554
სატერმინალო	834,314	284,513
სხვადასხვა	277,576	25,022
კონტეინერების გაყიდვა	261,656	724,128
სულ	8,235,468	8,513,293

12. გაწეული მომსახურების ღირებულება

ჯგუფის გაწეული მომსახურების ღირებულება 2024 წლის 31 დეკემბრის და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგნაირად არის წარმოდგენილი:

	31 დეკემბერი, 2024	31 დეკემბერი, 2023
ტრანსპორტირების ხარჯები	(4,599,512)	(4,974,182)
საპორტო მოსაკრებლები	(1,478,333)	(1,271,282)
კონტეინერის გაყიდვის ხარჯი	(217,452)	(576,553)
პაილოტი	(156,031)	(153,983)
ტრანზიტის გადატვირთვის ხარჯი	(131,163)	(61,156)
საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო	(125,964)	(103,324)
სხვადასხვა	(73,451)	(63,033)
შუქურა	(62,738)	(56,966)
სულ	(6,844,644)	(7,260,479)

შპს “სისამ კავკასუსი”

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების თანდართული შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

13. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

ჯგუფის ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები 2024 წლის 31 დეკემბრის და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგნაირად არის წარმოდგენილი:

	31 დეკემბერი, 2024	31 დეკემბერი, 2023
შრომის ანაზღაურება (საერთო-ადმინისტრაციული)	(602,077)	(398,689)
ცვეთის ხარჯი	(15,666)	(11,544)
საკონსულტაციო და აუდიტის ხარჯები	(15,525)	(16,936)
საიჯარო ქირა	(15,362)	(8,988)
სხვა საერთო ხარჯი	(14,045)	(13,295)
სოციალური დანარიცხები	(12,975)	(8,395)
კომუნიკაციის ხარჯები	(3,759)	(651)
მივლინების ხარჯები	(3,161)	(2,135)
საბანკო ხარჯები	(3,011)	(3,647)
საგადასახადო ხარჯები	(1,131)	(657)
სულ	(686,712)	(464,937)

14. მოგების გადასახადი:

2016 წლის მაისში საქართველოს პარლამენტმა ცვლილებები შეიტანა იურიდიული პირების საგადასახადო მოდელში, რომელიც ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვარს. ამ ცვლილებას ქონდა პირდაპირი გავლენა გადავადებულ გადასახადზე.

ფინანსური რისკის მართვა

რისკის მართვის ფუნქცია ჯგუფში ხორციელდება ფინანსური რისკების, საოპერაციო რისკების და სამართლებრივი რისკების გათვალისწინებით. ფინანსური რისკი მოიცავს საბაზრო რისკს (მათ შორის სავალუტო რისკი, საპროცენტო რისკის რისკი და სხვა რისკი), საკრედიტო რისკი და ლიკვიდურობის რისკი. ფინანსური რისკების მართვის ფუნქციის ძირითადი მიზნებია ფინანსური რისკების ზღვრების დადგენა და იმის უზრუნველყოფა რომ ის არ გაცდებოდეს ამ ზღვრებს. ოპერატიული და სამართლებრივი რისკების მართვის ფუნქციები მიზნად ისახავს შიდა პოლიტიკისა და პროცედურების სწორად ფუნქციონირებას ოპერატიული და სამართლებრივი რისკების მინიმიზაციის მიზნით.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი ნიშნავს იმას რომ კონტრაქტორი ვერ შეასრულებს კონტრაქტით გათვალისწინებულ ნაკისრ ვალდებულებებს, რის შედეგადაც ჯგუფი მიიღებს ფინანსურ ზარალს. ჯგუფის პოლიტიკის მიხედვით, ჯგუფი ურთიერთობს კრედიტუნარიან კონტრაქტორებთან, რის შედეგადაც მცირდება კონტარქორის დეფოლტის რისკი, მასქიმალურ საკრედიტო რისკს წარმოადგენს შემდეგი ფინანსური ინსტრუმენტები:

	31 დეკემბერი, 2024	31 დეკემბერი, 2023
სავაჭრო მოთხოვნები	1,002,446	247,804
საბანკო ვალდებულება	-	-
სულ	1,002,446	247,804

შპს “სისამ კავკასუსი”

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების თანდართული შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი იმისა, რომ ორგანიზაცია ვერ შეძლებს შეასრულოს თავისი ვალდებულებები.

ორგანიზაციის პოლიტიკა გულისხმობს აწარმოოს ლიკვიდურობის გონივრული მართვის პოლიტიკა შესაბამისი პროცედურების ჩატარების საშუალებით: რომელიც მოიცავს შესაბამისი რაოდენობის ნაღდი ფულის და საბანკო ნაშთების ქონას, ასევე მაღალი ლიკვიდური აქტივების მიღებას, რომელსაც მოყვება ყველა საოპერაციო და გადასახდელ ვალდებულებასთან დაკავშირებული სერვისები.

ქვემოთ მოყვანილი ცხრილი გვიჩვენებს აქტივებს და ვალდებულებებს მათი დარჩენილი საკონტრაქტო ვადის მიხედვით 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

დეკემბერი 31, 2024	1 წელზე ნაკლები	1 წელზე ზემოთ	მთლიანი
აქტივი			
მარაგები	45,455	-	45,455
წინასწარ გაწეული ხარჯები	18,761	-	18,761
მოკლევადიანი მოთხოვნები	1,002,446	-	1,002,446
გაცემული საგადასახადო ავანსები	103,509	-	103,509
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	417,614	-	417,614
მთლიანი აქტივები	1,587,785	-	1,587,785
ვალდებულებები			
მიღებული ავანსები	69	-	69
საგადასახადო ვალდებულება	8,989	-	8,989
მოკლევადიანი ვალდებულებები	72,741	-	72,741
მთლიანი ვალდებულებები	81,799	-	81,799
მთლიანი ლიკვიდურობა	1,505,986	-	1,505,986

ქვემოთ მოყვანილი ცხრილი გვიჩვენებს აქტივებს და ვალდებულებებს მათი დარჩენილი საკონტრაქტო ვადის მიხედვით 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

დეკემბერი 31, 2023	1 წელზე ნაკლები	1 წელზე ზემოთ	მთლიანი
აქტივი			
მარაგები	38,029	-	38,029
წინასწარ გაწეული ხარჯები	1,086	-	1,086
მოკლევადიანი მოთხოვნები	247,804	-	247,804
გაცემული საგადასახადო ავანსები	87,803	-	87,803
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	517,496	-	517,496
მთლიანი აქტივები	892,218	-	892,218
ვალდებულებები			
მიღებული ავანსები	69	-	69
საგადასახადო ვალდებულება	6,167	-	6,167
მოკლევადიანი ვალდებულებები	46,077	-	46,077
მთლიანი ვალდებულებები	52,313	-	52,313
მთლიანი ლიკვიდურობა	839,905	-	839,905

შპს “სისამ კავკასუსი”

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების თანდართული შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

15. დაკავშირებული მხარეები

საანგარიშო წლის განმავლობაში ჯგუფს გააჩნია შემდეგი ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან და ანგარიშგების თარიღის მიხედვით არის შემდეგი ნაშთები:

	31 დეკემბერი, 2024	საღებუტო ბრუნვა	საკრედიტო ბრუნვა	31 დეკემბერი, 2023
დაკავშირებული მხარეებისთვის გაწეული მომსახურება	744	3,572,727	3,591,239	19,256
დაკავშირებული მხარეების მიერ გაწეული მომსახურება	(63,827)	668,941	732,768	-

	31 დეკემბერი, 2024	31 დეკემბერი, 2023
მენეჯმენტის ხელფასები და ბონუსები	247,000	201,100
	247,000	201,100

16. მნიშვნელოვანი მოვლენები საანგარიშო თარიღის შემდგომ

არავითარი მნიშვნელოვანი გარიგება არ ყოფილა გამოვლენილი საანგარიშო თარიღის დადგომის შემდეგ, რომელიც გავლენას მოახდენდა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე.